№ 00000566

02/07/2024

ბრძანება №566
შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს შპს "თეგეტა აკადემიის" დირექტორის 2018 წლის 03 აგვისტოს დამტკიცებული ბრძანება **№07** შპს "თეგეტა აკადემიის" მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესისა და შპს "თეგეტა აკადემიის" პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ.

2. დამტკიცდეს შპს "თეგეტა აკადემიის" მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესი ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევი წესი

ქ. თბილისი
2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული განათლების მასწავლებლის და პერსონალის მიღების წესს, ფორმებსა და ზოგად პირობებს.

1.2. თეგეტა აკადემიაში პროფესიული მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევა ხორციელდება ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის დაცვით, წინამდებარე წესის და აკადემიის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

1.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი - შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს პროფესიული საგანმანათლებლო/მომზადება-გადამზადების/პროგრამის, მოდულის სწავლებისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, ან/და აკმაყოფილებს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირობებს.

1.4. თეგეტა აკადემიის პერსონალი - არის პირი, რომელიც შრომის/მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს თეგეტა აკადემიის დებულებებითა და აკადემიის შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს.

მუხლი 2. თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების პოლიტიკა

2.1. აკადემია, მისი მიზნებიდან და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, ცოდნის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე პერსონალთა მოზიდვას, შერჩევას, დანიშვნას.

2.2. აკადემიის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზიდვისა და დანიშვნის გამჭვირვალე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე, ნებისმიერი აპლიკანტისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას.

2.3. აკადემიის დასაქმების პოლიტიკის მიზანია კვალიფიციური და პროფესიული კადრების შერჩევა სამართლიან, გამჭვირვალე და თანმიმდევრულ პრინციპებზე დაფუძნებით. აღნიშნული მიდგომა ვრცელდება აკადემიის თითოეული პოზიციის შერჩევისას.

მუხლი 3. თანამშრომელთა შერჩევის მეთოდები

3.1. პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის მიღება შესაძლებელია, ერთ-ერთი შემდეგი წესით:

3.1.1. გარე ვაკანსიის გამოცხადებით, რაც გულისხმობს საკადრო მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვას;

3.1.2. შიდა ვაკანსიის გამოცხადება, თეგეტა ჰოლდინგის მასშტაბით;

3.1.3. ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან;

3.1.4. დაინტერესებული პირის მხრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე;

3.1.5. ბაზრის მოკვლევის შედეგად შესაბამისი პირისთვის ვაკანსიის შეთავაზებით.

3.2. აკადემიის დირექტორი, აკადემიის საჭიროებებიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას, ზემოთ ჩამოთვლილიდან რომელი წესით მოხდება მიღება.

3.3. გარე ვაკანსიის გამოცხადების დროს, ვაკანსიის განაცხადის გამოქვეყნება ხდება დასაქმების საიტებითა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით, ადამიანურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა შერჩევის ეტაპზე.

3.4. შიდა ვაკანსიის გამოცხადებისთვის გამოიყენება „თეგეტა ჰოლდინგის“ მეილჯგუფები და ჰოლდინგის საერთო პორტალი https://intranet.tegeta.ge/, ადამიანურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა შერჩევის ეტაპზე.

3.5. აკადემიის მიერ გამოცხადებული გარე ვაკანსიის განაცხადი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- სამუშაოს დასახელება;
- სამუშაოს აღწერა;
- პოზიციისთვის სასურველი უნარები, გამოცდილება და მინიმალური კვალიფიკაცია (მაგ:განათლებას, შესაბამის სამუშაო გამოცდილება, ტექნიკურ უნარები, საჭირო სერთიფიკატები ან ლიცენზიები)
- წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;(სასურველია);
- სამუშაოს ადგილმდებარეობა;
- უპირატესობები და შეღავათები;(სასურველია);
- ხელფასის დიაპაზონი(სასურველია);

- განაცხადის ინსტრუქცია (თუ როგორ უნდა განაცხადონ კანდიდატებმა თანამდებობაზე, მათ შორის ნებისმიერი საჭირო დოკუმენტი (რეზიუმე, სამოტივაციო წერილი, პორტფოლიო და ა.შ.) და საკონტაქტო ინფორმაცია განაცხადების წარდგენისთვის;
- განაცხადის მიღების ბოლო ვადა;

3.6. აკადემიის მიერ გამოცხადებული გარე ვაკანსიის განაცხადი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ვაკანსიის დასახელება;
- ვაკანსიის აიდი;
- ადგილმდებარეობა;
- ორგანიზაცია;
- ვადა;
- მოთხოვნები;
- სამუშაო აღწერილობა;
- ხელფასის დიაპაზონი(სასურველია);

მუხლი 4. თანამშრომელთა შერჩევის ეტაპი

4.1. აპლიკანტთა შერჩევის პირველ ეტაპზე ხდება კანდიდატთა განაცხადების გადარჩევა, განაცხადის გადარჩევის შემდეგ კი აკადემიას შეუძლია გამოიყენოს შერჩევის სხვადასხვა მეთოდი, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რამდენიმე შერჩევის მეთოდის კომბინაცია. გასაუბრებასთან ერთად კანდიდატის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად, აკადემიის დირექტორის გადაწყვეტილებით, დამატებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- **დასაქმების წინა ტესტები** - ამ ტესტებს შეუძლიათ შეაფასონ კანდიდატების შესაძლებლობები, უნარები, პიროვნული თვისებები ან სამუშაოსთან დაკავშირებული ცოდნა. მაგალითები შეიძლება მოიცავდეს უნარების ტესტებს, ტექნიკური უნარების შეფასებას, პიროვნების შეფასებას და სიტუაციური განსჯის ტესტებს, უცხო ენის ტესტებს.
- **სამუშაო აუდიცია ან გამოცდა** - აკადემიამ შეიძლება მოიწვიოს კანდიდატები სამუშაო გარემოში საცდელ პერიოდში, სადაც ისინი ასრულებენ რეალურ სამუშაო დავალებებს თავიანთი უნარებისა და შესაძლებლობების დემონსტრირებისთვის.
- **სამუშაო ნიმუშები/პორტფოლიოები** - კანდიდატებს შეიძლება სთხოვონ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრების ან პორტფოლიოების ნიმუშები, რომლებიც ასახავს მათ წინა პროექტებს, წერის ნიმუშებს, პრეზენტაციებს და მისი წარდგენის შესაძლებლობებს ან სხვა შესაბამის სამუშაოებს.
- **შეფასების ცენტრები**- შეფასების ცენტრები მოიცავს სავარჯიშოების ან სიმულაციების სერიას, რომელიც შექმნილია კანდიდატების უნარების, შესაძლებლობებისა და ქცევის შესაფასებლად იმიტირებულ სამუშაო გარემოში. ეს შეიძლება მოიცავდეს ჯგუფურ სავარჯიშოებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს და შემთხვევის შესწავლას.

4.2. გასაუბრებას ესწრება აკადემიის დირექტორი ან/და მისი მოადგილე ან/და დირექტორის მიერ განაზღვრული პირი, ადამიანური რესურსებზე პასუხისმგებელი პირი და საჭიროების შემთხვევაში იმ მიმართულების ხელმძღვანელი, რომლის დაქვემდებარებაშიც უნდა იყოს მომავალში აპლიკანტი.

მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღება

5.1. ზემოთ აღნიშნული შერჩევის ეტაპების გავლის შემდეგ, აკადემიის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული განათლების მასწავლებლის ან/და პერსონალის აკადემიაში დასაქმების შესახებ.

5.2. პროფესიული მასწავლებლისა და პრაქტიკის განმახორციელებელი პირის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შესაბამის სფეროში აპლიკანტის სამუშაო გამოცდილებას, ხოლო დანარჩენი პერსონალის შერჩევისას - ასევე კვალიფიკაციას.

5.3. აკადემიაში დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების შემდეგ, აპლიკანტს აკადემიის შესაბამისი თანამშრომელი გააცნობს ოფიციალურ სამუშაო შეთავაზებას სამუშაო შეთავაზება გულისხმობს პოზიციის სამუშაო ანაზღაურების, შეღავათების, დაწყების თარიღისა და სხვა შესაბამისი პირობების შეთავაზებას.

მუხლი 6. პროფესიული განათლებლის მასწავლებლისა და პერსონალის სამსახურში აყვანა

6.1. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების და მხარეთა შორის პირობებზე შეთანხმების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალთან საქართველოს კანონმდებლობის, შრომის კოდექსის შესაბამისად ფორმდება შრომის ხელშეკრულება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია გაფორმდეს მომსახურების ხელშეკრულება. შრომის ხელშეკრულების გაფორმებამდე აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი გათვალისწინებულია შპს ,,თეგეტა აკადემიის" საქმისწარმოების წესში.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან

7.2. შპს „თეგეტა აკადემიის" მიერ პროფესიული მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესის" გაუქმება და მასში ცვილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.